

სილსილეი საადათის 33-ე და ბოლო რგოლი

სულეიმაჲ ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.)



ფაზილეთის გამომცემლობა / 190

სილსილეი საადათის 33-ე და ბოლო რგოლი

სულეიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.)

შემდგენი

ფაზილეთის სამეცნიერო ჯგუფი

ტექნიკური რედაქტორი

ფაზილეთის გრაფიკული ჯგუფი

სტამბა

ჩამლიჯას გამომცემლობა

სერტ No: 46592



FAZILET
NESRIYAT

ISBN

978-625-8027-07-5

1 გამოცემა

სტამბოლი 2022

მისამართი:

ბალლარის უბანი, მიმარ სინანის ქუჩა, N54 გუნემლი-
ბაღჯილარ-სტამბოლი/თურქეთი

კავშირი

Tel: 0212 657 88 00

www.fazilet.com.tr

bilgi@fazilet.com.tr

© გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. ნაშრომი ეკუთვნის ჩამლიჯას სტამბას. ფაზილეთი ჩამლიჯას ერთერთი მარკაა.





ებულ ფარუყ სულიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.) (სილისტრევი) 1888-1959



ებულ ფარუყ სულიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.) (სილისტრევი)

სილსილუი საადათის 33-ე და ბოლო რგოლი სულეიმან ჰილმი სილისტრევი (ყ.ს.)

ხზ. ებულ ფარუყ სულეიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.) (სილისტრევი) 1888 (ჰიჯრეთით 1305) წელს ბულგარეთში, სილისტრეს რეგიონში, ქალაქ ჰეზარგრადში (დღევანდელ რაზგრადში), სოფელ ფერჰათლარში დაიბადა. მამა, ხოჯაზადე ოსმან ფევი იყო (1845-1928 წ.წ.), რომელმაც განათლება სტამბოლში მიიღო. შემდეგ წლების განმავლობაში, სილისტრეში მდებარე ჰაჯი ახმედისა და სათირლის უმაღლეს სასწავლებელში ლექტორად მუშაობდა. ხზ. სულეიმან ჰილმი თუნაჰანის დედა ხატიჯე ხანუშია. ბაბუა კი მაჰმუდ ეფენდია, რომელიც „კაიმაკ ხაფიზი“ სახელით იყო ცნობილი, იგი 110 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ხოჯა ზაადედ“ ცნობილი ეს ძვირფასი ოჯახი, სეიდ იდრის ბეის შთამომავალია. სეიდ იდრისი ფათიხ სულთან მეჰმედმა თავის დაზე დააქორწინა და თუნას მმართველად დანიშნა.

სულეიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.) მამის მსგავსად „ხოჯაზადე“ გვარს იყენებდა. შემდეგში გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მიღებული ახალი კანონის საფუძველზე კი „თუნაჰანი“ გვარი მიიღო. პატარა ასაკში გარდაცვლილი შვილის ფარუყის გამო, „ებულ ფარუყიც“ ეწოდა.

ზხ. სულეიმან ჰილმი თუნაჰანის მამას, ოსმანს, სტამბოლში სწავლისას დაესიზმრა, რომ მისი სხეულის ნაწილი ცად ამალდა და დედამიწა გააბრწყინა. ეს სიზმარი ასე ახსნა: მომავალში შეეძინებოდა შვილი, რომელიც სულიერად გაანათებდა სამყაროს.

სილისტრეში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა და შეეძინა 4 შვილი: ფეჰმი, სულეიმან ჰილმი, იბრაჰიმი და ხალილი. დაიწყო მათზე დაკვირვება. სიზმარში ნანახი განსაკუთრებული თვისებები სულეიმან ჰილმიში დაინახა. სწორედ ამიტომ მისი სწავლა-განათლებისა და აღზრდისათვის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა.

სწავლა განათლების პერიოდი

ზხ. სულეიმანმა (ყ.ს.) დაწყებითი განათლების მიღება, სილისტრეში მდებარე რუმდიეს სახელობის სკოლაში 1902 წელს დაასრულა. იმავე წელს სილისტრეში მდებარე სათირლის მედრესაში არაბული ენის სწავლა დაიწყო. უმაღლესი განათლების მისაღებად 1907 წელს მამამ სტამბოლში გააგზავნა. გამგზავრებისას შემდეგი რჩევა-დარიგება მისცა:

„შვილო! უსულუ ფიქჰის (ისლამის უმაღლესი კანონმდებლობის) მეცნიერებას თუ კარგად დაეუფლები რელიგიაში ძლიერი იქნები, ხოლო მანტიკის (ფილოსოფიის) მეცნიერებას თუ კარგად დაეუფლები ცოდნით ძლიერი იქნები.“